№ 253 ნოემბერი 28, სამშაბათი 1889 ნოემბერი 28, სამშაბათი № 253

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ოცჰულის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურობანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## სასწავლებელი დაპანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—12)


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 29 ნოემბერს,

ბენეფისი

ვ. ლ. გუნიასი

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ედმუნდ კინი

კომედია 4 მოქმედ. თხზ. ა. დიუმასი.

II

ახალი პიესა

ადვოკატთან

კომედია 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა, დიმელი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, სუციშვილი, სვიმონიძე, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 24 ნოემბერს, გაათავა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განხილვა ნუხის სამკურნალოს ნაუფროსალის თ. თუმანიშვილისა და უფროსის ექიმის გრეჩანინოვის საქმისა. თ. თუმანოვსა და გრეჩანინოვს ის ბრალი დაედოთ, რომ ჯარის-კაცები იმათ წოდების არ-შესაფერ საქმეზედ უმუშავებიათ, ყალბი საბუთის ქაღალდები შეუდგენიათ სახელმწიფო ფულის მისაჩემებლად, წესიერად არ უმოქმედნიათ თავისს სამსახურში და ხარჯი მეტი უჩვენებიათ, ვიდრე დაუხარჯავთო. ამ დანაშაულისათვის შემდეგი განაჩენი დასდო სასამართლომ: თ. თუმანოვს ჩამოერთვას ჩინები, ორდენები, აზნაურის წოდება და თავადის ღირსება და სამუდამოდ საცხოვრებლად გაიგზავნოს ირკუტსკის გუბერნიაში, აღკრძალული ჰქონდეს საცხოვრებელ ადგილიდგან ფეხის მოცვლა 4 წლის განმავლობაში და ციმბირის სხვა გუბერნიებში გასვლა თორმეტის წლით. გრეჩანინოვსაც ჩამოართვეს ჩინები, ორდენები და სხვა უფლებანი და გაიგზავნოს სამუდამოდ საცხოვრებლად ენისეის გუბერნიაში.

*** 26 ნოემბერს, კვირა დილით, ყარაიაზის ბოქაულ ბ-ნ ტერ-გრიგოროვისაგან ტფილისში მოვიდა ამბავი, რომ სამი ავაზაკი, რომელთაც 18 ნოემბერს ისე უწყალოდ დაჰხოცეს ახალ-სოფლელი მცირე წლოვანი მწყემსები, დაჭერილები არიანო. იმათ თურმე კვალ და კვალ მისდევდა სართიჭალის ბოქაული ბ-ნი ნაცვლიშვილი. შეპყრობილნი ავაზაკნი გამოტყდნენ თურმე, რომ მწყემსების მოკვლაში მონაწილეობა მიიღო კიდევ ხუთმა ჩვენმა ამხანაგმაო. ზემოხსენებული შეპყრობილი ავაზაკები იმალებოდნენ, მკვლელობის შემდეგ, სოფელს მუღანლოში ასანასთან და ნაიბასთან. მკვლელთა შორის ურევია შერიმი, რომელმაც ეხლა-ხან ცოლი შეირთო სოღანლუღში და რომელსაც ადმინისტრაცია დაეძებდა ქურდობის გამო. სართიჭალის ბოქაულს მოუწერია, რომ დაკარგული საქონელი უნდა მოიძებნოს ან სოფელს სოღანლუღში და ან ტფილისის ყასბებშიო. ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი თელავის მაზრაშია წასული და იქ დაეძებს დანარჩენს ხუთს ავაზაკს.

*** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი „საერთო კედლის კალენდარი“, დაბეჭდილი ბ-ნის ექვ. ხელაძის მიერ. კალენდარი პატარა ზომისაა და ღირს 25 კაპ. დღესასწაული და კვირა დღეები ამ კალენდარში წითელის ქაღალდით არის აღნიშნული.

*** უწმინდესის სინოდისაგან მოვიდა ახალი განკარგულება, რომ სასულიერო სასწავლებლებში უმეტესი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ზნეობრივსა და სარწმუნოებრივს აღზრდასაო სწავლის დაწყების წინად ყოველ დღე ყველა მოწაფენი ერთად შეჰყარონ და მოძღვრის თანადასწრებით ლოცვები წააკითხონ, ავალობონ. აგრეთვე დიდ-მარხვის განმავლობაში ყოველ დღე თითო საათი საყდარში ალოცონ. ადგილობრივ არქიელმა ხშირად უნდა დაათვალიეროს სასულიერო სასწავლებლებიო და, თუ თითონ არა სცალიან, პროვინციაში მყოფ სასწავლებლების გასასინჯავად უნდა გაჰგზავნოს თავისი თანაშემწე ეპისკოპოსი, ან სემინარიის მოძღვარიო.

*** გუშინ-წინ, 26 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში „გუგენოტების“ მაგიერ წარმოადგინეს „ფაუსტი“, მუსიკა გუნოსისა. მონაწილეობას იღებდნენ ზარუდნაიას ქ-ლი, გეიდნერისა და ალმაზოვისა, ბ-ნი ტომარსი, ბედლევიჩი და კოროსტაშევსკი. ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. დღეს, 28 ნოემბერს, დანიშნულია „ოტელო“, ოპერა ვერდისა. ოტელოს როლს შეასრულებს ბ-ნი ვანდერიკი.

*** ყარსი: ამ თთვის ოცს გვეღირსა ყარსის ქართველებს წარმოდგენა ქართულის კომედიებისა. წარმოდგენა გახლდათ ყარსის მოქალაქეთა დარბაზში, სადაც დაესწრო ბლომად ხალხი, უფრო რუსობა და სომხობა. ქართველებიც, რასაკვირველია, ვინცკი მოიპოვებოდა ყარსში, ყველანი მოვიდნენ. მართალია, რუსებსა და სომხებს მომეტებულს არ ესმოდათ ქართული, მაგრამ ეტყობოდათ, რომ ჩვენი ქართული ყოფა-ქცევა და მიხვრა-მოხვრა ძრიელ მოსწონებოდათ და იმათი ტაშის-კვრა და ყვირილი „ბის! ბის!“ დარბაზს აყრუებდა. წარმოადგინეს ცაგარლის კომედიებიდგან: „ბაიყუში“ და პირველი მოქმედება „ხანუმა-სი“. მოთამაშენი გახლდნენ: ირაკლი ბაქრაძე, პოლიპორიკი ქავთარაძე, სომეხი მამულოვი, მარიამ კიკნაძისა, ოლღა ქავთარაძისა და გიქიმყრელისა. ძრიელ უხდებოდა ირაკლი ბაქრაძეს როლი რევაზის მოურავისა. სრულებით თავისუფლად და მშვენიერად წარმოადგინა და თვალწინ წამოგვიყენა ნამდვილი ჩვენი გლეხი-კაცი და ყოფა-ქცევა და მიხვრა-მოხვრა. მეორე როლიც სამსახურიდამ გამოსულის პორფიკისა ბაიყუშში მშვენიერად შეასრულა და ნამდვილად თვალ-წინ წამოგვიყენა ჩვენი უწინდელი „ოსტაფნოი“ აფიცრები. მაგრამ კიკნაძისამაც ძალიან კარგად ითამაშა როლი „ხანუმასი“. რამდენჯერმე გამოიხმეს ასეთის კარგის თამაშობისათვის. სომეხმა მამულოვმა ხომ დაგვხოცა სიცილით თავისის მშვენიერად შესწავლულის როლით „გასპარ ტერ-ფუქსავატიანცი“. ნამდვილი გასპარა იყო და ძრიელაც უხდებოდა. სხვებმაც ერთობ კარგად წარმოადგინეს და ბევრი გვასიამოვნეს. წარმოდგენა გახლდათ რუსულს ენაზედაც. თამაშობდნენ აქ მყოფნი რუსნიც, რომელთაც დიდს მადლობას ვუძღვნით ყარსის ქართველები.

წარმოდგენა გამართული იყო სა-

# ფელეტონი

## თეატრების სეზონი

მელპომენა გაჰპარვიათ.—გამწყრალი ბედი.—სპილო-არტისტი.—ქართული თეატრი.

კვლავ ამ დროს პროვინციებიდამ მოგვდიოდა ხოლმე წერილები, რომ ამა-და-ამ დღეს ამა-და-ამ ქალაქში თუ სოფელში ამა-და-ამ ვაჟებმა და ქალებმა წარმოადგინეს ესა-და-ეს პიესა, ხალხი საკმაოდ დაესწრო და ძალიან ნასიამოვნებიც დაბრუნდა სახლშიო. ჩვენ ასეთს წერილებს გულის ძგერითა ვკითხულობდით და გვიხაროდა, რომ სცენა ჩვენს ქვეყანაშიაც თანდათან აიდგამს ფეხს და ქართველი საზოგადოება გაიმართავს თავისთვის ერთს უტკბესს დროს გასატარებელ საგანს, რომელიც იმავ დროს კიდეცა სწურთნის გემოვნებას და აკეთილშობილებს ხასიათს. თუნდა ასეთი პირდაპირი ზედმოქმედება თეატრსა მაყურებელზე საეჭვო იყოს, ის ხომ აშკარაა, რომ გაცილებით უკეთესია ადამიანმა თეატრში გაატაროს საღამო და მოტრიალდეს საზოგადოებაში, ვიდრე შეიხუთოს სული კლუბების ქაღალდობაში და რესტორან-დუქნების ჭამა-სმეულობაში. სასიამოვნო მხარე ამ ამბისა კიდევ ის იყო, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან პროვინციის სცენაზედაც აღმოჩნდებოდა ნამდვილი და სრული ნიჭი არტისტისა, რომელიც თავის დროზე მხარში ამოუდგებოდა იმ ორიოდე ნიჭიერ მოთამაშეს, რომელთაც შეჰქმნეს ქართული თეატრი და რომელნიც თითქმის უსასყიდლოდ ემსახურებიან ჩვენს სცენას აგერ ათ წელიწადზე მეტია.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, პროვინციებიდამ ჯერ-ჯერობით იმის მეტი არ მოისმის-რა, რომ სესიამ წელს შარშანდელზე უფრო მომეტებული ლორები დაჰპარა კიკოლია სვიმონეიშვილს; რომ სურამი აიკლეს ღამის რაინდებმა; რომ ხაშურში ერთი დუქანი არ გადარჩა გაუტეხელი და გაუცარცველი; რომ ქუთაისმა ვერ იქნა და ვერ იშოვნა შესაფერი მოღვაწენი თვით-მმართველობისა და ამიტომ მოქალაქენი მუხლამდე ჰზელავენ ქუჩების ტალახს; რომ თელავში, თუმცა ღვინო ნაკლები მოუვიდათ წელს, ლრეულობამა და სმეულობამ იმატა, იბარტყა და ამის გამო სულ ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა და სისხლის დენაა; რომ ბათუმი დღითი-დღე იზრდება და ამიტომ ერთი-ორადა ჰმატულობს ავ-კაცობა, ყომარბაზობა, უპირობა და სხვა სამარცხვინო „ობა“; რომ სიღნაღი თანდათან ძილის ეშხში შედის, ამის გამო ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, და ყოველი მოქალაქე ამაყად მოგახლით პირში თავ-მოსაწონებელ სიტყვებს— „გახლავართ ჯენტელმენი კამბეჩოვანშირიდამაო“; რომ ივრის ხეობაში აქამდე ძროხებს იპარავდნენ მუღანლოელნი და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ შემოაკვდებოდათ კაციო, ეხლა-კი ძროხა მიუდით, კაცსაცა ჰკლავენ და უსუსურ ბალღებსაც-კი არ ინდობენო, ქართველებს-კი დაუკრებიათ გულ-ხელი და აღარ იციან, ძროხის დაკარგვა იცენ თავში, თუ მკვდარი იტირონო; რომ ყოვლად პატიოსან რაჭაშიაც-კი ფეხ-არებით შედის ცივილიზაცია, აბლაკატობა, ქურდობა, ავზნეობა და სხვანი. ერთის სიტყვით, ვინ მოსთვლის, რა გულის გასახეთქი ამბები არ მოგვდის პროვინციებიდამ, მხოლოდ სცენის ამბებზე-კი ჯერ კრინტიც არავის დაუძრავს.

ქუთაისის მელპომენა საშინლად გაყინულა, აღრეულა სიცივეებისაგან დამზრალა, ხელები დაჰბუხებია, პირი შეჰკვრია, და სულ იმის მოლოდინში ვართ, აცა როდის ინებებს იმისი ერთგული მსახური ბ-ნი კ. მესხი და როდის მოასურიელებს, რომ ქუთაისის საზოგადოებამ თეატრში მაინც დაივიწყოს ცოტა ხნით მოუწყობლობა, უთაურობა და ხელთუპყრობა თავიანთ ქალაქის თვით-მმართველობისა.

რაც შეეხება სხვა ქალაქებსა და დაბებს, ჩვენ ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყვეთ, რომ მელპომენას ვერ აუტანია იმათი საკვირველი გულგრილობა, ამდგარა და სადღაც გაპარულა, რის გამოც იმათნი მსახურნი სრულებითაც არასა ჰნაღვლობენ, შავებს არ იცმენ, ცრემლით თვალებს არ იფუჭებენ და ერთობ მხიარულად ატარებენ დროს, ე. ი. ძალიან მადიანადა სჭამენ, უფრო მადიანად ჰსმენ, ცეკვაობენ და კიდეცა ტანციმანცობენ...

**

ჩვენში მხოლოდ ერთად-ერთი ტფილისი შერჩა მელპომენას და არა ჰღალატობს, მიუხედავად მოქალაქეთა გულ-გრილობისა. დადგა თუ არა უკანასკნელი რიცხვები აგვისტოსი, მაშინვე ჩაებნენ ჩვენი არტისტები უღელში და ეწევიან ერთგულად. ეს ოპერაო, ეს ოპერეტიო, საარტისტო საზოგადოებაო, ქართული თეატრიო, მალოროსიული დასიო, ტომსონის ცირკიო, ერთის სიტყვით, რა გინდათ, რომ ჩვენს ქალაქში არა ჰნახოთ ეხლა გამართული და გაჩაღებული. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ეს მუხთალი ბედი მეტად ცვალებადი რამ არის. დღეს რომ ოპერას გაუღიმოს და გულში ჩაიკრას, ხვალ ზურგს შეაქცევს, მჩვარში ამოახვევს ტარტაკოვსაც, ლატერნერსაც და, ასე გასინჯეთ, ვანდერიკსაც-კი, რომლისთანა ტკბილს მომღერალს მაგრე ადვილად ვერ შეჰხვდება მსმენელი არა თუ ტფილისში, არამედ სხვა დიდრონ ქალაქებშიაც,—ჰო, ხვალ მუხთალი ბედი ოპერას ხელსა ჰკრავს და მოწმენდილს შუბლსა და მოწყალე თვალს მიაქცევს ოპერეტს, და ტფილისის საზოგადოებაც თავ-პირს მიიმტვრევს, რომ დაინახოს მშვენება და სიტურფე რატმიროვის ქალისა, მოისმინოს ტკბილი სიმღერა ლოდისა, დასტკბეს ტროცკაიას დარდიმანდულ თამაშით, მილიუტინის ძრიელის ხმით და სხვანი. ზეგ თავის მოწყალე კალთას ბედი დააბლერტს თავზე ტომსონს და გაიჭედება ცირკი მაყურებლებით, რომელნიც მადრიე-

სარგებლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“.

*** ოზურგეთი: 24 ნოემბერს გათავდა ჯარის-კაცთა კენჭის ყრა. ოზურგეთის მაზრაში სულ გამოვიდა 100 ჯარის-კაცი, რომელნიც, დაფიცების შემდეგ, დაითხოვეს რამდენისამე დღის ვადით თავ-თავიანთ სახლში. არ იქნა და ვერ შეიგნო საწყალმა უმეცარმა გლეხმა, რომ არავითარი ფულის დახარჯვა და ქრთამი ვერ უშველის და ვერ დაიხსნის ჯარში გასვლისაგან, თუ სხვა რაიმე შესაწყნარებელი მიზეზი არა აქვს. ზოგიერთი ვაჭბატონები და სოფლის გაიძვერა მწერლები წელსაც ბევრს ატყუებდნენ, რომ, თუ ფულებს დახარჯავთ, გაგანთავისუფლებენო. ამ ნაირად ამ ქვეყნის მატყუარებმა თავიანთი ჯიბე გაივსეს, მაგრამ ვისაც შეღავათი არა ჰქონდა და კენჭი ამოუვიდა, იმის განთავისუფლება მაინც ვერ შესძლეს. ხოლო ვისაც შეღავათი ჰქონდა, ან კენჭი არ ამოუვიდა, იმათთვის არც ეს გაიძვერა გმირები იყო საჭირო.

*** სოფ. ხვარბეთი (გურია): ჩვენში თუ რაიმე კარგი ჩვეულებაა, იმას ივიწყებენ და სამაგიეროდ ცუდსა და კაცის მავნებელს-კი ითვისებენ. ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენში ქორწილსა და სხვა ამისთანა შემთხვევაში ყველას იარაღს ახსნიდნენ მეჯლისზედ დასხდომამდის და ამიტომ უფრო მშვიდობიანობა იყო. დღეს-კი ამ ჩვეულებას ზურგი შეაქციეს და იმისთანა ქორწილს ვერა ჰნახავ, რომ ერთი და ორი მარცხი არ მოხდეს. 12 ამ თთვეს მოხდა ერთი საზიზღარი შემთხვევა. აზ. დ. ქარცივაძეს ჰქონდა ქორწინება, რის გამოც გამართა მშვენიერი წვეულება. ლხინმა დილის ექვს საათამდის მშვიდობიანად გასტანა, მხოლოდ დილის ექვს საათზედ მ. ქარცივაძემ დასჭრა მოულოდნელად ი. ბოლქვაძე. აი საქმე როგორ იყო: 1887 წელს ი. ბოლქვაძის ძმას დაურტყამს ბოთლი თავში მ. ქარცივაძისთვის. ეს ქარცივაძემ დაიმახსოვნა გულში და შურისძიება მოინდომა, უნდოდა გადაეხადა იმის ძმისთვის და როდესაც ი. ბოლქვაძე ელაპარაკებოდა თ. ნაკაშიძეს, იპოვა დრო, მიეპარა უკანიდამ, დაჰკრა ხანჯალი ბეჭის ძირში და დასჭრა მძიმედ. იმ დროს წამოდგნენ თ. ნაკაშიძეები, აგრეთვე ყველა იქ მსხდომნი და დაიჭირეს მ. ქარცივაძე, რომელიც იძახდა: «გამიშვით, თუ სული შერჩა, უნდა მოვკლა, უნდა გადავყლაპოვო». ამ დროს უიმედო დაჭრილმა და გრძნობადაკარგულმა ბოლქვაძემ ესროლა რევოლვერი დამჭრელს, მაგრამ იმას ასცილდა და იმის გვარის კაცს ი. ქარცივაძეს მოხვდა ბარძაყში.

*** სოფ. ქრისტიანი (კავკავის მაზრა): წარსულის თთვის რიცხვებში ამ სოფელში გაროზგეს სამი ოსი დიგორელები. მეოთხეც უნდა გაეროზგათ, მაგრამ ამან რომ გაიგო, გაროზგვას მიპირებენო, ტყვიით გატენილი დამბაჩა გულში დაიცა და მოიკლა თავი. გაროზგვაზედ დაესწრო მაზრის უფროსი და, ჩვეულებისამებრ, ბევრი სხვა ხალხიც.

*** ბარის ოსები: ბარის ოსებში სიმინდის დიდის მოსავლის გამო ხალხმა იმის გარჩევა ველარ მოასწრო ღვინობისთვის გასვლამდის. ამ გიორგობისთვის პირველ რიცხვებში და თერთმეტსაც კარგა ბლომად, თითქმის ათ გოჯამდე, თოვლი მოვიდა და ამ მიზეზით ზოგს დღესაც გასარჩევი აქვს სიმინდი. ეფიქრებათ, ვაი თუ თოვლ ქვეშ მოყოლილმა სიმინდმა აღარ ივარგოსო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

კავკავი, ნოემბრის 19. 25 ოქტომბერს სალამოთი ჯვარი დაიწერა კავკავის საკათედრო ტაძარში მეორე გილდის ვაჭარმა გრიგოლ იოსების ძემ მოზდოკელოვმა (ქართველია). ჯვარის წერა თუმცა ცოტა გვიან, ე. ი. თერთმეტს საათზედ იყო, მაგრამ დიდ-ძალმა ქართველობამა და სომხობამ მოიყარა ტაძარში თავი ჯვარის წერაზედ დასასწრებლად. დამსწრენი მოუთმენლად ელოდნენ ჯვარის წერის დაწყებას. მკითხველი გაიკვირვებს, რა იყო, რას მოელოდნენ ასეთს, ნუ თუ ჯვარის წერა არ ენახათო? მაგრამ არა, აქ სულ სხვა ამბავი გახლდათ. ის ამბავი, რომ ნეფემ და იმისმა ნათესავებმა წინათვე სთხოვეს საკათედრო ტაძრის დეკანოზს მამა იოილ სამადოვს, რომ ჯვარის წერა ქართულად შეესრულებინა. ეს იყო მიზეზი, რომ ამდენმა ქართველობამ და სომხობამ მოიყარა თავი და მოუთმენლად ელოდა ქართულად ჯვარის წერის მოსმენას. მამა დეკანოზმა თუმცა ჯერ ბრძანა, რომ ოც-და-ათი წელიწადი არის ქართულად ჯვარის წერა აღარ შემისრულებია და ვაითუ ველარც-კი მოვახერხოო, მაგრამ შემდეგ სულ სხვა ვიხილეთ.

თერთმეტის ნახევარი იყო სწორედ, რომ შემოვიდნენ ტაძარში ნეფე-დედოფალნი, გამობრძანდა შემოსილი მამა იოილ სამადოვი და არხიდიაკონი მამა ნიკოლოოზ კუხიანიძე. საიდღანაც ერთი ძველისაგან-ძველი ქართული კურთხევანი მოიტანეს, ისეთი, რომ ხელში სჭეროდა კაცს და ზეპირად დაესწავლა, მაინც მისი წაკითხვა გაუჭირდებოდა. დეკანოზმა დაიწყო: „კურთხეულ არსი“ და ზედ „მშვიდობიანი“ მოაყოლა მამა არხიდიაკონმა კუხიანიძემ თავისებურად მოხდენილისა და ბოხის ხმით. როგორც ზევით მოგახსენეთ, თუმცა ისეთი ძნელი საკითხავი კურთხევანი იყო, მაგრამ მსმენელთ სული და გული დაატკბო მამა დეკანოზის სამადოვის ქართულ წიგნის კითხვამ, ისე მშვენიერად და კარგის კილოთი კითხულობდა. მეტადრე მშვენიერის კილოთი სახარების წაკითხვამ ქართულად დიდს ალტაცებაში მოიყვანა იქ მყოფი ქართველობა და სომხობა. ჯვარის წერის დასრულების შემდეგ მამა დეკანოზს იქ მყოფმა ქართველობამა და სომხობამ დიდი მადლობა მოახსენეს ქართულად ჯვარის წერის შესრულებისათვის...

ჩვენ წინადაც გვქონია მოხსენებული „ივერიაში“, რომ კავკავში მცხოვრებ ქართველებისთვის აუცილებლად საჭიროა ქართველი მღვდელი. როგორც გავიგეთ, ყოვლად სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსს პეტრეს, კავკავში მობძანებისათანავე, ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და უბრძანებია, რომ უთუოდ კავკავის ქართველებს თავიანთვის საკუთარი ქართველი მღვდელი უნდა ჰყავდეთო. ვისურვებთ სულითა და გულით, რომ ეს საქმე მალე შესრულებული იყოს. რასაკვირველია, ეს ამბავი დიდად სასიამოვნო და გასახარი იქნება კავკაველ ქართველობისათვის, მაგრამ უნდა ესეცა ვსთქვათ, რომ „ყმაწვილი თუ თვით არ ტირის, დედა არ დაუყვავებსო“. ამ ანდაზას მოგახსენებთ კავკაველ ქართველობაზედ. საქმე ის არის, რომ თითონაც არ უნდა მიეცნენ უზრუნველობას, თითონაც უნდა ეცადნენ ამას და მაშინ საქმე საქმეზედ მოვა. ესეც ხომ გაიგეს, რომ ყოვლად სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსს პეტრეს უბრძანებია, საკუთარი ქართველი მღვდელი უნდა კავკავის ქართველობასაო, მაშ ახლა თითონაც ეცადნენ, სურვილი შეუსრულდებათ და ქართულის წირვა-ლოცვის გაგონება სანატრელი აღარ გაუხდებათ.

ქართველი ოსებში

## წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ ორიოდე სიტყვას ადგილი უბოძოთ თქვენს გაზეთში.

ხუთი თუ ექვსი წელია მას უკან, რაც მე თქვენი მონა-მორჩილი გავერიე მარქაში და რჩეულაშვილის „ანუკა ბატონიშვილი“ გადავაკეთე დრამად. იმ ხანებში წავუკითხე ეგ დრამა ქართულ დასის არტისტებს, მოიწონეს და დასდგეს. ასე გასინჯეთ, საბენეფისოდაც გახდა. ხოლო, პირველ წარმოდგენისავე შემდეგ, დავინახე თითონ მეც და ბევრმა სხვამაც რა ზორბად სჭიროდა შალაშინი ჩემს შრომას, რამდენად სუსტი იყო. ქართველ არტისტებისაგან ჩემის დრამის მოწონებამ რუსული ანდაზა მომაგონა: На безъ людьи и Θома дворянинъ: პიესებზე ღენწუად გახლდნენ იმ დროს. ის იყო და ის: ავიღე ჩემი ნაამაგევი და დღესაც უჯრაში მაქვს ჩაკეტილი. მსურდა შეკეთება, გაშალაშინება ზოგის ჩემ მიერ დანახულის შეცდომებისა და ზოგის სხვებისაგან ნაჩვენებისაც, მაგრამ ვინ დაგაცალა!.. დღეს ვკითხულობ გაზეთებში: ტფ. ქართ. დას. არტისტ. წარმოდგენილი იქნება: «ანუკა ბატონიშვილი» სამ-მოქმ. დრამა დ. მესხისა.

როგორც მოგახსენეთ, ჩემი დრამა ცენზორისაგან ნება-დართული და ხელმოწერილი ჩემს უჯრაში მქვს და, თუ არა ვსცდები, ვუთხარი კიდეც მაშინდელს მოთავეს დასისას გ. ა. აბაშიძეს, ნუღარ დასდგამთ-მეთქი პიესას, და ან-კი რაღა თქმა იყო საჭირო. თავადაც იწვნიეს და საზოგადოებასაც აწვნიეს ღირსება იმისი: სახელი («ანუკა ბატონიშვილი») დიდ-ხმოვანი გახლდათ, სასრაგა-კი... იქნება ამ სახელმა დღესაც გაასაღოს ბილეთები, ფულიც შაიხრას — საზოგადოება-კი გერბეშს სასრავს მოიმკის და მეც «კუმ ფეხით»... რითვინაო?!

დ. მესხი

22 ნოემბერი 1889 წ.

II

ბ-ნმა ირაკლი რამიშვილმა შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულის სკოლის ბიბლიოთეკას ოცი ცალი მის მიერ გამოცემულის ს. მგალობლიშვილის მოთხრობისა: «დემეტრეს სახლობა» და ათი ცალიც გადმოგვცა დასარიგებლად მახლობელ სკოლებისათვის. მადლობას ვუძღვნი ბ-ნს შემომწირველს.

ქვემო-სურების კერძო სკოლის მასწავლებელი ისიდორე რამიშვილი

## ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყველას მოეხსენება, რომ ჩვენს „კრიტიკოსს“ ნარ-დონს ერთი და ერთი დაჟინებული აქვს, სპარსეთს დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზედ, საქართველოს ყველაფერი სპარსთაგანა აქვთ მოპოვებული და შეძენილიო. აი ამ ცრუ სა-

---

ლის თვალით შეჰყურებენ საკვე ველ მალაყებს გაწვრთნილ სპილოებისას. მაშინ ქრისტეს ტირილი ასტყდება ხოლმე ოპერაში და მეტადრე ფორკატის თეატრში, „მეტადრე“ იმიტომ-რომ ოპერას ზურგი მაგარი აქვს ხაზინისაგან და ფორკატიმ-კი სულ თავისი ჯიბე უნდა ჩხრიკოს სიგრძე-სიღრმეზე და პასუხი გასცეს თავის არტისტებს.

მხოლოდ ის არის თვალში საჩხირელი, რომ ქართულ სცენაზე ყოველთვის ერთობ გამწყრალია ბედი. ვერ იქნა, ვერ შევირიგეთ, ვერ მოვიგეთ მისი გული. კვირაში ერთხელ არის ქართული წარმოდგენა და მაინც ჩვენი აგრეთ წოდებული საზოგადოება არ დაიარება ქართულ თეატრში. აქ, რასაკვირველია, ბედი-კი არა მუშაობს, ფართოდ ხელი გაუშლია უბედურებას და არის ერთს ყოფაში.

ან-კი სად ატარებს დროებას ჩვენი საზოგადოება! ოპერაში იმას იშვიათად ჰხედავთ, აგრეთვე ოპერეტში და სხვაგან. მხოლოდ შარშან-კი, ღვთის წინაშე, როდესაც ტარტაკოვი ახალი ხილი იყო და მთელი ქალაქი მუხლ-მოდრეკით ადიდებდა იმის მშვენებასა და სიმღერას, თითო-ოროლა ქართველი ქალი და კაცი დაიარებოდა ოპერეტში. ეხლა-კი, როდესაც თვალი შეაჩვიეს ტარტაკოვს და ამანაც შეისვენა, სული მოითქვა და უფრო დიდის მხნეობით შეუდგა მხოლოდ გალობას, რომელშიაც იგი საუკეთესო ოსტატია, ეხლა ოპერასაც შემოსწყრა ქართველი საზოგადოება. ვერც-კი იმას ვიტყვით, რომ რუსული და ან სომხური საზოგადოება ნამეტანად მიიკლავდეს თავს ოპერაში. ამ უკანასკნელს წლებში ერთად-ერთი გაზაფხული ჩვენმა ოპერამ შარშანა ნახა და ისიც მომეტებულ ნაწილად ტარტაკოვის წყალობით და ზოგში მედვედევის წყალობითაც. მაშინ რუსი, სომეხი, ქართველი, ებრაელი განურჩევლად დაიარებოდა ოპერაში და თეატრი თითქმის მუდამ გაჭედილი იყო ხალხისაგან.

სამაგიეროდ, ბევრი გაჭირება გამოიარა ფორკატიმ თავისს დრამატიულ დასით. ვერც ხელოვნურმა თამაშმა მაიეროვისამ, ვერც ნიჭიერებამ ლიუდვიგოვისამ, რომელსაც დღეს ხელით ატარებს მოსკოვის მოთეატრე საზოგადოება, ვერც საამურმა კომიკობამ ლილინისამ და სხვებისამ, ვერც ჩინებულმა თამაშმა თვით ფორკატისამ ვერ მიიმხრო ტფილისის საზოგადოება, ვერ შეიტყუილა თეატრში, და მხოლოდ დრო გამოშვებით თუ აივსებოდა თეატრი ხალხით, თორემ უმეტეს ნაწილად ცარიელი იყო ხოლმე. ბოლოს ფორკატიმ მიაგნო ტფილისელების გემოვნებას და წელს მოაწყო ოპერეტის წარმოდგენები. დაიპატიჟა ტფილისის საყვარელი მომღერალი ლოდი, გამოიწერა რატმიროვისა, მოიწვია ტროცკაია, ცნობილი ბიაზი, ფატეევი და სხვანი. გამოსცა აფიშები თუ არა, და კიდეც მიაწყდა ხალხი. ოპერა თითქმის დავიწყებას მიეცა, ყველას პირზე ეკერა სახელი რატმიროვასი, ლოდისა, ტროცკაიასი და სხვანი.

**

მაინც ამ ბოლოს დრომდე ურიგოდ არ მიდიოდა ოპერეტის საქმეები. თეატრი ხალხით სავსე იყო ხოლმე. მაგრამ ამ ხანებში დიდი კონკურენცია გაუწიეს ტომსონის სპილოებმა ფორკატის არტისტებს. ტფილისის საზოგადოება მიაწყდა ტომსონის ცირკს და ჩვენმა თეატრებმა ჩამოჰყარეს ყურები. რამდენად საგონებელში ჩააგდო ოპერეტის დასი არტისტმა-სპილოებმა, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ თუნდა წარსულ პარასკევის ამბიდგან, როდესაც დანიშნული იყო ოპერეტი „მოგზაურობა აფრიკაში“. ეს ოპერეტი კარგია მხოლოდ დეკორაციებით და უმთავრეს მოთამაშეთა ჩაცმულობით. ათასში ერთი კაი სამღერელიც არის. მოჰხდა ისე, რომ პარასკევს ძალიან ნაკლებად გაიყიდა ბილეთები თეატრისა, ხალხი ცოტა მოვიდა, ალბად სპილოების სანახავად გაემგზავრა ტფილისის საზოგადოება. ამის გამო ისე გასტეხოდათ არტისტებს გული, რომ თითქმის ველარ ვიცანით ხსენებული პიესა სცენაზე. ლოდის გარდა არც ერთი არტისტი აღარ იყო თავის ქერქში—თამაშობდნენ ფეხ-აკრებით, რომ ჩქარა გადაებულბულებინათ თავიანთი როლები, სიმღერის მაგიერად სულ სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ, რომ მალე გასულიყვნენ ბოლომდე, ხაშინაო ტანთსაცმელში გამოსულიყვნენ სცენაზე. ერთის სიტყვით, წარმოდგენა აღარც ოპერეტსა ჰგვანდა, არც კომიკურ სცენას, არც ვოდევილს. ერთი რაღაც უშნო და ულაზათო ცუნცრუკი იყო, მეტი არაფერი.

საკვირველია, ასე რად უნდა შეჰშინებოდა ოპერეტის დასს კონკურენცია სპილოებისა. ან ვითომ რა დანაშაული ჰქონდა საზოგადოებას, რომელიც დაესწრო ამ წარმოდგენას და გაიღო ფული, რომ მოაკლეს შესაფერი და მოსალოდნელი სიამოვნება? სულაც რომ მართლა სპილოებმა აჯობონ ყველა ტფილისელ არტისტებს, მაინც რაკი ხალხი მოსულა წარმოდგენაზე, რაკი პიესას არდგენენ სცენაზე, მოვალეა თეატრი ეცადოს, რომ დააკმაყოფილოს მაყურებელი, გინდაც სულ სამიოდე კაცი მოსულიყოს და მეტი არა. თუ ეცოტავებათ ხალხი, ისევ ისა სჯობია სრულებით არ წარმოადგინონ პიესა, ვიდრე ითამაშონ ისე უხეიროდ, ისე ულაზათოდ, როგორც პარასკევს. თუ არა-და, აბა რა ჭკუაში მოსასვლელია შიში სპილოების კონკურენციისა! რასაკვირველია, სპილოს არტისტობა სანახავადა ღირს—აბა იმოდენა უზარმაზარი პირუტყვი გამოდის სცენაზე და გონივრულად ასრულებს თავისს როლებს, ზოგ არტისტზე უკეთესადაც, და ვის არ მოუნდება ასეთის სასწაულის ნახვა. მაგრამ რაც უნდა იყოს, ბევრი-ბევრი ორჯელ წავიდეს კაცი ამის სანახავად. მერე ხომ მოსწყინდება და ისევ თეატრს არ უნდა დაუბრუნდეს, თუ აქვს დრო და მოცალეობა, თუ ეძებს ესტეტიურს გართობას?

ძირკვლზეა აშენებული, ამ ადვილად შესარყევ ბოძზეა აგებული მთელი ოთხი წერილი ნარ-დონისა, დაბეჭდილი „Сѣвер. Вѣст."-ში, რომ სპარსეთმა შემოიტანა საქართველოში კულტურა და „ვეფხის-ტყაოსანის" შინაარსიც სპარსულიდგან არის აღებულიო. თავისს წერილების ამ დედა-აზრს მეცნიერი ნარ-დონი არაფრით ასაბუთებს, არაფრით ამტკიცებს, მხოლოდ დაჟინებით გვეუბნება თავისს გონების დანასკვნს და გაიძახის რომ ეს ჩემის ოცნების ნაყოფი უეჭველად უნდა ირწმუნოთ და ჭეშმარიტებად მიიჩნიოთო. გასულ კვირის „Новое Обозрѣніе"-ს ფელეტონში სამართლიანადა სწერს ბ-ნი ნიკოლაძე:

ჩვენი ავტორი ამტკიცებდა თავისს „Письма о Грузіи"-აში, რომ ეს ქვეყანა მე-XI და XII საუკუნოებში სპარსეთის კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდაო. მაშასადამე, იმის სიტყვებიდგან ის გამოდის, რომ ეს კულტურა შედეგი ყოფილა წინანდელ ბრძოლათა საქართველოსა და სპარსეთს შორის. ხომ ასეა. ამასობაში, როგორც ვიცით, მე-XI და XII საუკ. საქართველო ებრძოდა არაბებს, ხალიფატს და არა სპარსეთს, რომელიც იმ ეპოქაში იმავ მებრძოლთაგან იცავდა თავს, რომელთაგანაც საქართველო. მაშასადამე, საქართველო რუსთაველისა და „ვეფხის-ტყაოსანის" დროს არაბთა კულტურის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო და არა სპარსეთისა.

ნარ-დონს დაუჟინია, რომ სპარსეთსა და საქართველოს დაუწყნარებელი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთში და ამ ბრძოლით სპარსეთის კულტურა იმის მტრის ქვეყანაშიაც ვრცელდებოდაო.

მართალია, ომი, როგორც ყველაფერი ქვეყანაზედ, როგორც ჰაერი, გადამდები სნეულებანი, გაჭრობა და წყალიც, კულტურის გავრცელებას ხელს უწყობს, ხოლო მარტო იმიტომ, რომ კულტურა თავისდა თავად ძლიერია და ყველაფრით სარგებლობს გასავრცელებლად, რაც-კი ხელში მოხვდება. მაგრამ ყველა ომი-კი არ ავრცელებს კულტურას და ყველა კულტურა არ გავრცელდება ყველგან. მხოლოდ უმაღლესი კულტურაა ასეთი ძლიერი და იგი თვით ერის ცხოვრებაში შედის, უერთდება ერის აზრს ბუნებასა და იმის ძალთა შესახებ და სხ. აი ამ მხრით გვიჩვენეთ, განსაკუთრებით რითი, რა კანონებით, რა რწმუნებებით, რა უფლებებით და რა აზრებით იყო სპარსული კულტურა უკეთესი და უძლიერესი ქართულზედ დასახელდობრ რა შესძინა პირველმა მეორეს. შეიცვალა თუ არა რითიმე სპარსეთის ძლიერების, ან აზრების ზედგავლენით ის ორგანიზაცია ქართულის ოჯახისა, რომელიც სპარსეთის გავლენამდე და სპარსეთთან ომამდე არსებობდა საქართველოში? სპარსულისებური შეიქმნა თუ არა ქართველთა ქონებრივი დამოკიდებულება, პოლიტიკური ორგანიზაცია და სხ.? შეიცვალა თუ არა სპარსეთის გავლენის წყალობით სარწმუნოებრივი რწმენანი და აზრნი ქართულის ერისა? თუ არც ერთი ეს შესანიშნავი მხარე საერო და სახელმწიფო ცხოვრებისა არ დაჰმორჩილებია სპარსეთის ცივილიზაციას, თუნდ ასი და ათასი ფირდუსი და ნიზამი ჰყავდეთ სპარსებს, მაინც თქვენი „თეორია", ვითომ საქართველო სპარსეთის კულტურასა ჰყავდა დამონებულიო, გროშად არა ჰღირს.

გროშად რომ არა ჰღირს, ეჭვი არ არის და არც არავისა აქვს, თვით ნარ-დონს გარდა, რომელსაც მარტო ოდენ სპარსეთი და სპარსული-და ეჩხირება ყველგან თვალში და, სხვაგან ბეწვის დამნახავს, საქართველოში ძელიც ვერ შეუმჩნევია.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი

ნაწილი მეორე

(შემდეგი *)

თთვესა ფებერვალსა კ-სა მომეცა ასული, რომელიცა მოვანათვლინე გორს მეფის სძალს სალომეს და უწოდე ფებრონია. განვლე წელიწადი ესეცა გორს ყოფნით და ფრიადისა მწირობით. ამას წელიწადსა მხარიდამ (?) გარმოდგომილ ჰყვეს დარუბანდი და აღიღეს მაისის ცხრას ზაფხულში იგი. დაჰყვეს მუნ შემოდგომას, გამოვიდნენ ადრიბეჟანში, მუღალნჩოში, გარნა არავინ გამოჩნდა შემბმელი და წინაალმდგომი მათი.

ამასვე წელიწადს დეკემბერში მოვიდა ამბავი დიდის იმპერატორის ეკატირინეს გარდაცვალებისა, რომელიცა იყო უბედურება საქართველოსი.

*) იხ. „ივერია" №№ 203, 204 და 205.

დაჯდა იმპერატორად რუსეთისა ძე მისი პაველ პეტრეს ძე, ამან მიუწოდა ჯარითა თვისითა ზუბოვს. მუნვე წარვიდა ეგრეთვე გზასა ზედა დარუბანდისასა.

ჯარისა მისგან ექვსი ათასის კაცით იარაღლი კურციკოვი მოვიდა ზამთარსა მას საქართველოსა შინა გამომელელი განჯას ზედა.

წელიწადს 1797, ქორონიკონს უპე, გაზაფხულსა, მოვიდა კვალად აღამამადხანისა წამოსვლისა, შექმნა რყევა სრულიად საქართველომ შიშითა მისით. ამასვე ჟამსა გაძვირდა პური ესრეთ: ქალაქში იყიდებოდა ლიტრა ორ აბაზათ და ოდესმე ათ შაურათ, ერეთვე შემსგავსებულად სხვაგან. ამ წლის ივნისის დაწყებაში მოვიდა აღამამადხან შუშის და ენება მუნიდამ შემოსევა ქართლსა და კახეთსა შინა. გარნა მოხედა ღმერთმან მოწყალებით საქართველოს. ივნისის დ ღამით უღალატეს ფარეშთა თვისთა აღამამადხანს და მოკლეს შუშის ციხესა შინა. განიბნია ჯარი მისი და წავიდნენ თვის-თვისად. ესრეთ იჴსნა ღმერთმან საქართველო ოხრებისა მათისაგან.

ამასვე წელსა, ივნისში, წაბრძანდა მეფის ძე იულონ ფამილიით გორიდამ მამულსა შინა თვისსა ბელოთს. მაშინ წარგიყვანე თქვენცა, შვილნო ჩემნო, დაგაყენე ტყვიავს და მე ვახლდი მეფის ძესა იულონს ბელოთს და ვსცხოვრებდით ეგრეთვე მწირობით.

აგვისტოში რაც საქართველოში რუსნი იყვნენ, სულ წავიდნენ იმპერატორის პავლეს მიწოდებით. მაშინ მეფე ირაკლი ფამილიით თელავს იმყოფებოდა. მოუვიდა მეფის ძეს იულონს ამბავი დაბარებისა თელავით მამისა თვისისაგან, რამეთუ ომარხან ლეკის ჯარით ჭარში ჩამოსულიყო და ბატონი მეფე ერეკლეც ავად გამხდარიყო. წარვიდა ბელოთიდამ კ-ს აგვისტოსა. მე დავშთი მუნ მეფის სძალთან ბელოთს. ვმსახურობდი მღვდელობით და ძეთა მისთა წიგნის კითხვით.

შემდგომად არა მრავალთა დღეთა ჩვენც კვალადვე წარმოვედით ბელოთიდამ გორს და თქვენც ჩაგიყვანე ტყვიავიდამ გორსვე. ამ ჟამად ოთხი თვე დაუგვიანდა მეფის ძეს იულონს კახეთს. მოვიდა გორს დეკემბრის ია-სა, ჟამსა მას ოდეს სმენოდა ძმისა თვისისა ფარნაოზის ქართლში წამოსვლა და სურამის ციხის მიტაცება.

წელიწადსა 1798-სა ქორონიკონს ყპვ გარდაიცვალა ივერიის ია სანატრელ-სახსოვარი მეფე ირაკლი. მოგვივიდა ამბავი ესე გორს, განუცხადეთ ძესა მისსა იულონს და ფამილიასა მისსა, გარდიხადა კვირა რაოდენიმე შესაბამის გლოვით. შემდგომად შემოიყარა ქართველნი სღვდელონი და საერონი, წარვიდა თელავს სატირლად წმიდისა ორმეოცისა დაწყებასა შინა. ამ ჟამსა იყო ტფილისში სენი მომსვრელი ცოდვათა ჩვენთა ძლით და განზნეულიყო ხალხი მუნებური. გამოირჩიეს ძმათა თვისთა მეფედ უხუცესი ძმა, ძე მეფის ირაკლისა გიორგი და დაჯდა მეფედ, უმეტეს ჯერ ჩინებითა და შეწევნითა ძმისა თვისისა იულონისათა, დაუმტკიცეს რა მეფობა. ვ მაისს. მოვიდა კვალადვე თელავიდამ მეფის ძე იულონ გორს. დროთა ამათ შინა თუ ვითარი ვიქნებოდი მწუხარებით, ჟამი ესე აცხადებს. თვით განმრავლდა ცოდვათა ჩვენთა ძლით სენი იგი მომსვრელი, რომელსა უწოდებენ ჭირსა, და განეფინა ქართლსა და კახეთსა შინაცა, და ესრეთ გაჩნდა გორშიაც. მაშინ დიდისა სიმსწრაფლითა ავეყარენით გორიდამ ი ივლისს და მივედით კულბითს. მოეფინა სენი იგი მომსვრელი ქართლს შინა, მაგრა უმეტეს გამრავლდა და გარდაემატა სენსა მას შური მეფის გიორგისა ძმათა თვისთა ზედა: გაუტეხა პირობები, მოიყვანა ჯარი ლეკთა ვიდრე ხუთი ათასადმდე, დაუწყო ძმასა თვისსა იულონს თხოვა გორის ციხისა, გარნა მან, ვითარცა კაცმან მშვიდობის მოყვარემან, მისცა ციხე იგი ძმასა თვისსა ადრევე მოყვანადმდე ლეკის ჯართა. მაგრა მას ვინაჲდგან მუცლად ელო სალმობა, რომელ არს შური და მტერობა ძმათა თვისთა, არა დასცხრა მუნამდე, ვიდრემდის შვა შემსგავსებულად მიდგომილებისა, მაგრა ვგონებ ვითარმედ თხემსა მისსა ზედაცა დაუხდა იგი.

აქ კულბითს ყოფნაში მომეცა ასული, და თქვენი, შვილნო ჩემნო. სექტემბრის იზ ესე მოვანათვლინე იოსე მდივანის ძეს დავითს და უწოდე სოფია. კულბითიდამ ავეყარენით და დეკემბრის კ. მივედით ბელოთს. ზამთარი იგი დავყავით მუნ, რამეთუ ქართლში ყოველს სოფელში ლეკის ჯარი იყო დარიგებულ მეფის გიორგისაგან. წელიწადსა 1799, ქორონიკონს უპზ, გაზაფხულს შეკრიბა კვალადვე სრულიად ლეკის ჯარი ქალაქში მეფემან გიორგი და ზაფხულიცა იგი დაჰყვეს მუნ. მოკრიფა ქართლსა და კახეთსა შინა ჯამაგირი მათი და გაისტუმრა ეგრეთ, მაგრა ასეთსა შეწუხებასა შინა იყო ქალაქი ტფილისი ლეკის ჯარის მუნ ყოფნაში, რომ ვინც იმ დროს იმათ ყაფას არ დაესწრა, დაწერილს არც-კი დაიჯერებს. არას დიდს კაცს, თუ მოქალაქეს არ ვგონებ, რომ ქუდი შერჩენოდეს ქალაქში ან რომ არ მოეტაცნოთ. აღებ-მიცემა და დუქნის გაღება ხომ სულ აღარ ყოფილა, სანამ ლეკის ჯარი ქალაქში იყო, და სხვას რამდენს უჯერს საქმეებს შერებოდნენ — დადუმება სჯობს.

ამავე წელიწადს შემოდგომაზედ მეფის გიორგის თხოვნით მოვიდა ერთი ბატალიონი რუსის ჯარი და მინისტრი პეტრე კავალენსკი და მოუვიდა სამეფო გვირგვინი და ნიშნები მეფეს გიორგის იმპერატორის პავლესაგან, აგრეთვე მოუტანინა თავის შვილს დავითს მემკვიდრეობა და გამოაცხადა საქართველოს მემკვიდრედ. მე ასე ვგონებ, თუ მდგომარე ჟამი ჰგებს უფრო ეულად, რომელიც მწირს ჰქვიან მდაბიურს ენით ქართულებრ; ამაებით მეფეს გიორგისა და იმის ძმებში თუ რა გარემოები იშვა, შემდგომნი საქმენი აცხადებენ.

(შემდეგი იქნება)

---

აშკარაა, რომ თეატრისთვის სპილო საშიშს არას წარმოადგენს და ჩვენ გაკვირვებულნი ვართ ოპერეტის სიმხდალით, მეტადრე როდესაც ამ ოპერეტის მოთავე არის ენერგიით სავსე ფორკატი. თუ-კი ბ-ნმა ფორკატიმ შარშან მთელი ერთი წელიწადი არ გაიტეხა გული და მამაცად იტანდა საშინელს გულ-გრილობას საზოგადოებისას დრამატიულ პიესების მიმართ, წელს როგორ დიემართა ეს ამბავი, მით უმეტეს, რომ აქამდე ოპერეტის საქმე ერთობ კარგა მიდიოდა!

პარასკევის წარმოდგენაში ნაკიდბიაზისა ჰკითხავენ — წამალი ხომ არა იცი-რა, რომ თეატრის შემოსავალმა იმატოსო, და ნაკიდმა-ბიაზიმ უპასუხა — რაკი ტომსონმა სპილოები ჩამოიყვანა, მაგის წამალი აღარ იქნებაო. თუმცა ეს სახუმაროდ იყო ნათქვამი, მაგრამ იმდენი ბალღამი იყო შიგ გამოხატული, რომ ხუმრობას სრულებით აღარა ჰგვანდა. ჩვენ ვეტყვით ნაკიდ-ბიაზის, რომ თეატრის საქმეს სპილოები-კი ვერას დააკლებენ, და თუ გნებავს დააკლებს ისევ ეგ გულგატეხილობა და განზრახ ცუდი, შეუფარებელი თამაში. დააკლებს, ერთიან ძირს გაუთხრის ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე პიესას ნამეტან ხშირად ითამაშებენ იმისთანა შედარებით პატარა ქალაქში, როგორიც ტფილისია. საოპერეტო პიესების რეპერტუარი ხომ მდიდარია, ამოარჩიეთ უკეთესი, იშვიათად გაიმეორეთ, ყოველთვის კარგად ითამაშეთ, საზოგადოების რაოდენობის მიუხედავად, და მაშინ არა თუ სპილოები, არამედ დათვები, ლომები, ვეფხვები, აფთრები და ყველა პირუტყვი ერთად ვერაფერსაც ვერ დააკლებენ.

**

თუმცა ძნელია მუდამ დღე ხალხით სავსე იყოს თეატრი, მაგრამ მაინც ოპერასაც და ოპერეტსაც აქვს საშუალება მიიზიდოს მაყურებელი. დღეს რომ ნაკლებად დაესწროს საზოგადოება, ხვალ იმდენი მივა, რომ ადგილიც აღარ იყოს თეატრში. ამისთვის საჭიროა მხოლოდ საქმის სინიდისიერად წაყვანა, კარგ მოთამაშეთა მოწვევა და სხვანი. თქვენ ესა ბრძანეთ, რა ღონე უნდა იღონოს ქართულმა თეატრმა, რამ ასე გულის საკლავი სანახავი არ იყოს დაუსრულებელი გულ-გრილობა ჩვენის საზოგადოებისა. ქართველი დემოკრატია, ღვთის წინაშე, შარშანაც და წელსაც ყოველთვის ხელს უწყობს ჩვენს თეატრს, როგორც ყოველს სხვა საზოგადო დაწესებულებას. გალერეა მუდამ სავსეა მდაბიო ხალხით. მაგრამ ჩვენი აგრეთწოდებული არისტოკრატია და აგრეთ წოდებულივე ინტელიგენცია ერთის ვერსის მანძილზე გაურბის ქართულს თეატრს, როგორც ყოველს სხვა ქართულ საზოგადო საქმეს. ერთი და იგივე მიზეზი აკერიათ პირზე — ფული არა გვაქვსო, მაშინ-როდესაც იმათთვის ხშირად აინუნშიაც ჩასაგდები არ არის მწვანე სტოლზე ერთის თუმნის გაფუჭება და თეატრისთვის-კი ერთი მანეთი წელსა სწყვეტავს, ამხობს ძირს იმათს კეთილდღეობას. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

შარშან და შარშან-წინ კიდევ თითოოროლა „არისტოკრატი" და „ინტელიგენტი" დაიარებოდა თეატრში, ხოლო წელს თითქმის სანთლით უნდა ეძებო იმათი წარმომადგენელი. იქნება სთქვათ, რომ ამისი მიზეზი თვით ჩვენი არტისტებია, იმათი უხეირო თამაში, ან პიესების უვარგისობა, ერთგვაროვანობა. ვისაც თვალ-ყური უდევნებია წრევანდელ წარმოდგენებისთვის, დამეთანხმება, რომ ასეთი განაჩენი უსამართლოა. პირი-ქით, ჩვენის არტისტების საქებრად უნდა შევნიშნოთ, რომ წრევანდელი სეზონი უფრო ფერიანია, ვიდრე აქამომდელი. გარდა ერთისა თუ ორის უხეირო პიესისა, წელს სულ ახალ-ახალსა და დარჩეულს პიესებსა თამაშობენ. გარდა ამისა წრევანდელი სეზონი კიდევ იმითი სჯობია წინანდელებს, რომ ყოველმა არტისტმა ჩინებულად იცის თავისი როლი, როდესაც უწინ სიზმარშიაც ვერა ვნახავდით ამისთანა ბედნიერებას. რა ხარისხის არტისტიც უნდა გამოვიდეს სცენაზე, დარწმუნებული ხარ, რომ იმას სიტყვა აღარ აერევა, მუნჯივით ლუღლუღს აღარ მოჰყვება, როგორც მოსდიოდათ ადრე თვით წარჩინებულ არტისტებსაცკი და მდარენი ხომ ერთობ აფუჭებდნენ როლებს. ნუ თუ ასეთი წარმატება ჩვენის სცენისა ხელთ საყრელი და სასურველი არ არის. ნუ თუ წარმატებულმა სცენამ ნაკლებ უნდა მიიზიდოს ჩვენი საზოგადოება, ვიდრე უხეირომ! სწორედ რაღაც ნაირი სასაცილო და თან სატირელი ამბავი გამოდის.

ან იქნება ჩვენი ინტელიგენცია თუ არისტოკრატია გამწყრალია ქართულს თეატრზე, რადგან იგი აღარ ექვემდებარება ჩვენს დრამატიულ კომიტეტს, რომელმაც გადასწყვიტა, რომ წელს თეატრი აღარ უნდა იყოსო: როგორ გაბედეს არტისტებმა და კომიტეტის წინაალმდეგ თამაშობენო! საკვირველია, თქვენმა მზემ, ასეთი წყრომა! თქვე კარგო ადამიანებო, თუ-კი ჩვენი არტისტები უაპეკოდ, უძიძოდ უფრო კარგად ემსახურებიან ქართულ სცენას, უფრო სინიდისიერად ასრულებენ თავიანთ საქმეს, უფრო მომეტებული მშვიდობა და მეგობრობაა იმათ შორის, უფრო მწყობრადა და ლაზათიანად თამაშობენ, — განა ამაზე უკეთესი იქნება-და რამ?! ხომ ჩვენის თვალითა ვხედავთ, რომ რაც მომეტებული თავისუფლება აქვს არტისტს, მით უფრო ნაყოფიერია იმისი სამსახური! ჩვენც ეს არ გვინდა? კომიტეტიც ამ ნაყოფიერებისათვის არ იყო ამორჩეული და ამიტომაც თვით კომიტეტსაც არ ენატრებოდა განა წარმატება ქართულის თეატრისა?! კომიტეტმა თვით ვერ მიაგნო ამისთანა გზას, ეს გზა საკუთრივ არტისტებმა გაკვლეს. კომიტეტს უფრო არ უნდა უხაროდეს ასეთი ამბავი და უფრო ხელს არ უნდა უწყობდეს! მაგრამ ჩვენში ყველაფერი უთუოდ დახლართულად უნდა მიდიოდეს, თორემ არ შეიძლება, ღმერთი გვიწყენს.

სანო

# დეპეშა

25 ნოემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს ყაზანის თავად-აზნაურობის წინამძღოლის დეპეშა, რომელშიაც თავად-აზნაურობა მადლობას უხდის ხელმწიფეს და არწმუნებს, რომ თავად-აზნაურობა ყოველის ღონით ეცდება ღირსეული შეიქმნეს და დაიმსახუროს ჭეშმარიტად მეფური და მამობრივი მზრუნველობა იმპერატორისაო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მოხსენებას საკუთარის ხელით დააწერა: „დიდად ბედნიერი ვარო“.

დღეს დილით გარდაიცვალა საერთაშორისო ბანკის დირექტორი ლასკი.

ტანჟერი. ამბობენ, რომ შეთქმულობაა აღმოჩენილიო. სულთანმა ბრძანება გასცა და დააპატიმრებინა ფესის ციხეში ერთი თავის ძმათაგანი, რომელთანაც მანამდე დიდი ლაპარაკი და ბაასი ჰქონდა. ამ ამბავს შედეგად ვითომ ის მოჰყვა, რომ ზოგიერთს ალაგას არეულობა ასტყდაო.

ბერლინი. რეიხსტაგმა შეუცვლელად მიიღო საბანკო კანონი და შემდეგ ერთ-ხმად დაამტკიცა 17½ მილიონის დახარჯვა 150,000 შმიდტის სისტემის მაღაზიის თოფის შესამზადებლად.

26 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

პეტერბურგში იმპერატრიცა მარია თევდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ფულიდგან შესწირა 10,000 მან., იმპერატრიცამ — 5,000, მემკვიდრე ცესარევიჩმა—1,000 და იმპერატორის გვარეულობის სხვა წევრთ—10,250 მან.

პრინცი ლიუდოვიკ-ნაპოლეონი დანიშნულ იქმნა მე-44 დრაგუნის ნიჟეგოროდის რაზმში პოდპოლკოვნიკად და ამასთან საზღვარ-გარედ იქმნა დათხოვნილი 1890 წლის 15 აპრილამდე.

„Гражданинъ“-ი გვაუწყებს, რომ იმ გუბერნიების გუბერნატორები, რომელშიაც საერო უფროსობა უნდა შემოიღონ, გუშინ იქმნენ მიღებულნი გატჩინოს და მოისმინეს უმთავრესად, როგორ და რა გზით უნდა შეასრულონ თავიანთი ახალი ვალდებულებანი.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ შეცვლილ იქმნება ის წესი, რომლის ძალითაც ერთხელვე გადაწყვეტილია, რა განათლების კაცმა უნდა დაიჭიროს თანამდებობა საერო უფროსთაო. შეცვლილ იქმნება ისე, როგორც ითხოვეს გუბერნატორებმა, რათა უფრო ადვილი იყოს საერო უფროსობის თანამდებობის მიღებაო.

ლონდონი. ემინ-ფაშა ათის დღის განმავლობაში უგრძნობლად იყო. ეხლა ლაპარაკს ახერხებს და იმედი აქვს, რომ ათის დღის უკან ზანზიბარში გადაელო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 48 |
| ტამოჟნის კუპონები . . | 149¾ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 253½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 226 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 96¾ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97½ | — „ |
| ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | 84¼ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | “ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | “ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| ვაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |
| დავით აკლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასა . . . . . . | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ყიფშიძის გამოცემა . . . . . . | ,, | 50 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა. | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Дов. ценз. Тифлисъ 27-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.